CARGO PARCEL LOGISTIC COMPANY

შპს კარგო პარსელი

ბათუმი, მაიაკოვსკის ქ. #4 მიმდებარედ

Georgia, Batumi, Maiakovski st.4

ს/კ 405341063 T. 599 11 31 15 / e-mail: info@cp.ge

27.06.2022
N45

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
27. 06 2022წ.
№ 2679

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ შპს „კარგო პარსელი" (ს/კ 405341063) გეგმავს, სასაწყობე მეურნეობის ტერიტორიის შესაძლებლობებიდან გამომდინარე არსებულ საქმიანობას დაამატოს განსხვავებული ტიპის მშრალი (მათ შორის ნაყარი) ტვირთების ტვირთბრუნვა.

კერძოდ, სასაწყობე მეურნეობის ტერიტორიაზე დამატებით გათვალისწინებულია ნავთობპროდუქტის (ნავთობის კოქსი), ქიმიური პროდუქტის (გარნულირებული გოგირდი, ამონიუმის ნიტრატი) და საწვავი წიაღისეულის (ქვანახშირი) მშრალი სახეობის ტვირთების მიღება დროებით დასაწყობება და გატანა/რეალიზაცია.

საქართველოს კანონის "გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის (ზოგადი დებულებანი) მოთხოვნების მიხედვით: გზშ-ს ექვემდებარება ამ კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა და ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებული ის საქმიანობა, რომელიც ამ კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის შესაბამისად მიღებული სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე დაექვემდებარება გზშ-ს.

დაგეგმილი საქმიანობა განხილული იქნა როგორც, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს I დანართის 29-ე პუნქტით განსაზღვრული საქმიანობა - 1 000 m^3 ან მეტი ჯამური მოცულობის წიაღისეული საწვავის ან/და ქიმიური პროდუქტების საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია, შესაბამისად, ამავე კანონის მე-8-ე მუხლის თანახმად მომზადდა სკოპინგის ანგარიში.

აღნიშნულიდან გამომდინარე კომპანიამ სკოპინგის განცხადებით მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სკოპინგის ანგარიშის საფუძველზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 26 ნოემბრის N2-1575 ბრძანების საფუძველზე გაიცა სკოპინგის დასკვნა N57 (15.11.2021წ).

სკოპინგის დასკვნის შესაბამისად მომზადებული იქნა „ქ. ბათუმში მშრალი ტვირთების ღია სასაწყობე მეურნეობის, მათ შორის წიაღისეული საწვავის, დანავთობპროდუქტის და ქიმიური პროდუქტების საცავის მოწყობა-ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში".

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე - 10 და მე - 11 მუხლების საფუძველზე წარმოგიდგენთ პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გთხოვთ კანონით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

წინამდებარე განცხადებას თან ერთვის საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული საჭირო დოკუმენტაცია.

დანართი:

1. „ქ. ბათუმში მშრალი ტვირთების ღია სასაწყობე მეურნეობის, მათ შორის წიაღისეული საწვავის, ნავთობპროდუქტის და ქიმიური პროდუქტების საცავის მოწყობა-ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში” – 1 ეგზემპლარი (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია);

2. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების შესახებ პროექტი - 2 ეგზემპლარი (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია);

3. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად)

4. არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლარი (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია);

5. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გზშ-ის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;

6. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

პატივისცემით,

შპს „კარგო პარსელი”-ს დირექტორი

იოსებ პატარაია